ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

გენდერული თანასწორობის საბჭო

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერი კონკურსი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია და გენდერული თანასწორობის საბჭო აცხადებს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერ კონკურსს.

1. **კონკურსის მიზანია:**

ქალების, მათ შორის ახალგაზრდა ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, რაც შემდგომში განაპირობებს ქალთა ეკონომიკურ/სოციალურ აქტიურობას და ხელს შეუწყობს თანაბარი გარემოს შექმნას.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და ფაქტობრივად მცხოვრებ ქალებს 18 წლიდან, ან ქალთა საინიციატივო ჯგუფებს.

2. **კონკურსში ჩართვის მიზნით ბენეფიციარს შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენა.** პროექტი/იდეა უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
3. **თითოეულ პროექტზე, თანადაფინანსების (სუბსიდირება) მინიმალური ოდენობა შეადგენს 500 ლარს, მაქსიმალური - 5000 ლარს.** ბენეფიციარის თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს მის მიერ წარმოდგენილი პროექტით მოთხოვნილი თანხის - არანაკლებ - 10%. **განაცხადს თან უნდა ერთვოდეს** საბანკო დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს პირად ანგარიშზე თანხის არსებობას, რაც მოთხოვნილი თანხის 10%-ს შეადგენს. საინიციატივო ჯგუფის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის ანგარიში.
4. **თანადაფინანსებად იგულისხმება მხოლოდ თანხობრივი მონაწილეობა.** პროექტი/იდეა უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
5. **თანამონაწილეობის ვალდებულებისგან თავისუფლდება:** ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, შშმ პირი ქალი, ძალადობის მსხვერპლი, მარტოხელა სტატუსის მქონე და მრავალშვილიანი დედები.
6. **კონკურსის პრიორიტეტული მიმართულებები:**

- მემცენარეობა
- მეცხოველეობა
- სოფლად ტურიზმის განვითარება
- ხელოვნება და ხელსაქმე
- კულინარია
- მომსახურების სფერო

7. **განცხადებას უნდა ერთვოდეს** კონკურსანტის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ხოლო საინიციატივო ჯგუფის შემთხვევაში მათი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
8. **კონკურსი სამტაპიანია:**

   1 . განცხადებების გადარჩევა.

   ხარვეზის დადგენის შემთხვევაში მონაწილეს მიეცემა 3 დღიანი ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

   2. პროექტების პრეზენტაცია და გასაუბრება

   3. ფარული კენჭისყრა და გამარჯვებულის(გამარჯვებულების) გამოვლენა.

   გამარჯვებულ პროექტად ჩაითვლება პროექტი, რომელიც მიიღებს სხდომაზე საბჭოს დამსწრე წევრთაგან ყველაზე მეტ ხმას.

9. **გამარჯვებულ პროექტზე განხორციელდება პროექტის შესრულების, როგორც შუალედური , ასევე საბოლოო მონიტორინგი.**
10. **ბიზნეს-იდეის შევსების ფორმა იხილეთ:** ლინკზე განაცხადი
11. **განცხადებების მიღება დაიწყება 2023 წლის 26 სექტემბრიდან** , განაცხადების მიღების ბოლო ვადა 2023 წლის 17 სექტემბერი.

განცხადებები მიიღება ელექტრონულ მისამართზე: chokhatauri.gts@gmail.com

ასევე, წერილობითი სახით მისამართზე: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, წერეთლის ქ. N2, მესამე სართული

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ნომერზე: 579269595